



ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და
ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამა

pita

Promoting Integration, Tolerance
and Awareness in Georgia



unag
საერთაშორისო მართვის სააგენტო



USAID
ამერიკელი ხალხისგან

“ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერა საქართველოში” [PITA]

“ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერა საქართველოში” არის აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული 5-წლიანი პროგრამა, რომელსაც ახორციელებს საქართველოს გაეროს ასოციაცია.

პროგრამა მოიცავს სხვადასხვა ღონისძიებას საქართველოში ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდასაჭერად:

- ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობებსა და საქართველოს მთავრობას შორის კომუნიკაციის ხელშეწყობას და დიალოგის დამყარებას;
- არასამთავრობო ორგანიზაციების ბაზაზე ახალგაზრდული სამოქალაქო ცენტრების ფუნქციონირებას და მათ გაძლიერებას სამოქალაქო ჩართულობისა და მრავალფეროვნების მართვის მიმართულებით;
- სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მხარდაჭერის გზით, სამოქალაქო ინტეგრაციის პროგრამებზე სამოქალაქო მონიტორინგის მექანიზმის გაძლიერებას;
- დისკრიმინაციასთან და სიძულვილის ენასთან ბრძოლას, მედია მონიტორინგს და ადვოკატირებას ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული საჯარო პოლიტიკის გასახორციელებლად;
- ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების შესახებ სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას და ეროვნული დისკუსიის წახალისებას მედია რესურსების გამოყენებით.

პროგრამის ახალგაზრდული კომპონენტი აერთიანებს სხვადასხვა ღონისძიებას, რომელიც მიზნად ისახავს:

- სამოქალაქო აქტივიზმის კულტურის დანერგვასა და ახალგაზრდების საერთო კვალიფიკაციის ამაღლებას სამოქალაქო ჩართულობისა და მრავალფეროვნების მართვაში;
- საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ახალგაზრდებსა და საქართველოში მცხოვრებ ეთნოსებს შორის ინტეგრაციის გაძლიერებას ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა სტერეოტიპების წინააღმდეგ;
- მოხალისეობრივი აქტივიზმის, თანამშრომლობისა და მეგობრული ურთიერთობების ხელშეწყობას საქართველოს ახალგაზრდებს შორის.

ამ მიზნით 11 პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციის ბაზაზე საქართველოს 13 ქალაქში 14 ახალგაზრდული ცენტრი ფუნქციონირებს, რომელიც ახალგაზრდებს აერთიანებს და მათ სხვადასხვა საინტერესო საქმიანობაში თუ სასწავლო და სტაჟირების პროგრამაში რთავს.





რატომ უნდა განვიხილოთ ახალგაზრდულ სენდოში?

ეს არის შესაძლებლობა:

- დაუმეგობრდეთ ახალგაზრდებს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან;
- განივითაროთ ისეთი უნარები, როგორიცაა არგუმენტირებული მსჯელობა და კრიტიკული აზროვნება, საკომუნიკაციო უნარები, კრეატიულობა, ჯგუფში მუშაობა, თვითდისციპლინა, ლიდერობა და ინტერკულტურული ურთიერთობები;
- მიიღო მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებაში (გაცვლითი პროგრამები, მიკრო-გრანტები, სტაჟირების პროგრამა და კარიერულ წინსვლაზე მიმართული ტრენინგები, ტუტორიუმი, სემინარები და დისკუსიები, ახალგაზრდული ფორუმები და სხვა);
- სამოქალაქო აქტივიზმის გზით, შეძლო დაგეგმო და განახორციელო საკუთარი იდეები;
- გახდეთ ქვეყნის აქტიური მოქალაქე.

ვის შეუძლია გახდეს ახალგაზრდული ცენტრის წევრი?

18-25 წლის ყველა ახალგაზრდას, მათ შორის:

- ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს;
- იძულებით გადაადგილებულ პირებს;
- მშობლის მზრუნველობას მოკლებულ ახალგაზრდებს;
- განსაკუთრებული საჭიროების მქონე ახალგაზრდებს;
- სოციალურად დაუცველ ახალგაზრდებს.

თითოეულ ახალგაზრდულ ცენტრში შექმნილია სამოქალაქო ქვე-კლუბები, ძირითადად, ექვსი მიმართულებით:

- გენდერული თანასწორობა;
- ტოლერანტობა და კულტურათაშორისი დიალოგი;
- ადამიანის უფლებების დაცვა;
- განათლება;
- ჯანსაღი ცხოვრება;
- გარემოს დაცვა.





პროგრამის პარტნიორი ორგანიზაციები:

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი, პარტნიორები-საქართველო (PG), მედიის განვითარების ფონდი (MDF), სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი (CCIIR).

პროგრამის ახალგაზრდული კომპონენტის პარტნიორი ორგანიზაციები: ასოციაცია “ათინათი”, გორის კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი, განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრი, ოზურგეთის ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი, სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი, მარნეულის ახალგაზრდული ცენტრი, დემოკრატ-მესხთა კავშირი, თელავის განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრი, ბათუმის “თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი”, ქალთა ორგანიზაცია “ფაროსი”, ფონდი “ალპე” და ილიას უნივერსიტეტი, ივ.ჭავჭავაძის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

საქართველოს გაეროს ასოციაცია (UNAG) არის ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც 1995 წლის დეკემბერში დაარსდა და მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას. საქართველოს გაეროს ასოციაცია აქტიურად უწყობს ხელს თანამშრომლობის განვითარებას სამოქალაქო, სახელმწიფო და ბიზნეს სექტორებს შორის და მუშაობს საქართველოში ტოლერანტული, ღია სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაზე. საგა 1996 წლიდან გაეროს ასოციაციათა მსოფლიო ფედერაციის წევრია.

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) ფედერალური სააგენტოა, რომელიც პასუხისმგებელია აშშ-ს მიერ განვითარებადი ქვეყნებისთვის გაწეულ დახმარებაზე მსოფლიოს მასშტაბით. სააგენტო დახმარებას უწევს მრავალ ქვეყანას სიღარიბის დაძლევაში, დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმების გატარებასა და სტიქიური უბედურებების შედეგების აღმოფხვრაში. USAID-ის ბიუჯეტი მთლიანად დაფინანსებულია ამერიკე-ლი ხალხის მიერ გადახდილი გადასახადებით.

საქართველოს გაეროს ასოციაცია

საქართველო, თბილისი 0171, დოლიძის ქ.2

+995 032 233 25 16;

+995 032 233 52 16

www.una.ge

www.facebook.com/una.ge

